

სს „ნამახვანი“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31
დეკემბერს

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
--------------------------------------	---

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	6
სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	7
სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	8
სპეციალური დანიშნულების ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	10
2. მომზადების საფუძვლები.....	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	11
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა.....	11
5. ძირითადი საშუალებები.....	13
6. მარაგები.....	13
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13
8. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	14
9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	14
10. სხვა შემოსავალი, წმინდა.....	14
11. მოგება საკურსო სხვაობიდან, წმინდა	14
12. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	14
13. პირობითი ვალდებულებები.....	15
14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	15
15. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	15

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „ნამახვანის“ ხელმძღვანელებს და აქციონერებს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს „ნამახვანის“ (შემდგომში კომპანია), სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2019 წლის 31 მდგომარეობით მომზადებული სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის ანგარიშგების, სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და სპეციალური დანიშნულების ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია მე-2 შენიშვნაში გაშიფრული მომზადების საფუძვლების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოებები

ფუნქციონირებადი საწარმო

გვსურს თქვენი ყურადღება შევაჩეროთ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაზე, რომელიც გვიჩვენებს, რომ ნამახვანის ჰესების კასკადის აქტივები გაიყიდა 2019 წელს და კომპანიას არ აქვს სხვა საოპერაციო საქმიანობა. ასევე, ხელმძღვანელობას არ აქვს დამტკიცებული სამოქმედო გეგმა საქმიანობის გაგრძელების შესახებ. შესაბამისად, კომპანია სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებას არ ამზადებს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი და დასკვნის გავრცელებისა და გამოყენების შეზღუდვა

ყურადღებას ვამახვილებთ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაზე, სადაც აღწერილია ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი. სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის ხელმძღვანელობისთვის. ამის გამო, წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება შეიძლება არ იყოს შესაფერისი სხვა მიზნებისთვის. ჩვენი დასკვნა განკუთვნილია მხოლოდ კომპანიისთვის და ის არ უნდა გავრცელდეს და არ უნდა გამოიყენონ სხვა მხარეებმა. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე მე-2 შენიშვნაში გაშიფრული საფუძვლების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

6 ივლისი, 2020

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-720718)



შპს „ბიდიოს“ სახელით
თბილისი, საქართველო
6 ივლისი, 2020

სს „ნამახვანი“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2019
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	5	18,803
		18,803
მიმდინარე აქტივები		
მარაგები	6	188,724
საგადასახადო აქტივი		34,647
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	21,302,097
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	138,610
		21,664,078
სულ აქტივები		21,682,881
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი		20,536,882
გაუნაწილებელი მოგება		1,142,111
		21,678,993
მიმდინარე ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		3,888
		3,888
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		21,682,881

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 6 ივლისს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

გ. ჩაჩიბაია

ბუღალტერი

შ. მინდიაშვილი

10-18 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „ნამახვანი“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება


2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2019
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	5	18,803
		<u>18,803</u>
მიმდინარე აქტივები		
მარაგები	6	188,724
საგადასახადო აქტივი		34,647
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	21,302,097
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	138,610
		<u>21,664,078</u>
სულ აქტივები		<u>21,682,881</u>
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი		20,536,882
გაუნაწილებელი მოგება		1,142,111
		<u>21,678,993</u>
მიმდინარე ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		3,888
		<u>3,888</u>
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		<u>21,682,881</u>

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 6 ივლისს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



გ. ჩიკობავა

ბუღალტერი



მ. მინდიაშვილი

10-18 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „ნამახვანი“

სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2019
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9	(436,795)
შრომის ანაზღაურება		(229,607)
სხვა შემოსავალი, წმინდა	10	6,986,120
საპროცენტო შემოსავალი		26,705
მოგება საკუროსო სხვაობიდან, წმინდა	11	528,076
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		6,874,499

10-18 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „ნამახვანი“

სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(დაგროვილი ზარალი)	სულ
31 დეკემბერი 2018	21,073,461	(5,732,388)	15,341,073
დამფუძნებლების შენატანები კაპიტალში	364,900	-	364,900
სააქციო კაპიტალის შემცირება	(901,479)	-	(901,479)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	6,874,499	6,874,499
31 დეკემბერი 2019	20,536,882	1,142,111	21,678,993

10-18 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „ნამახვანი“

სპეციალური დანიშნულების ფულადი ნაკადების ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე		6,874,499
კორექტირებები:		
ცვეთა	9	11,482
საპროცენტო შემოსავალი		(26,705)
მოგება ძირითადი საშუალების გაყიდვიდან		(6,955,522)
ძირითადი საშუალების გაუფასურება		287,739
ზარალი საკურსო სხვაობიდან, წმინდა		(528,076)
ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან სამუშაო კაპიტალში ცვლილებამდე		(336,583)
სამუშაო კაპიტალის ცვლილება:		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(3,133,950)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების შემცირება		(1,836)
საგადასახადო აქტივის ზრდა		(213,754)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		(3,686,123)
მიღებული პროცენტი		26,705
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		(3,659,418)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების გაყიდვა		3,570,852
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		3,570,852
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
დამფუძნებლების შენატანები კაპიტალში		157,000
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		157,000
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა		68,434
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	8	70,160
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა ფული და ფულის ეკვივალენტებზე	11	16
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	8	138,610

10-18 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. ზოგადი ინფორმაცია

სს „ნამახვანი“ (შემდგომში – კომპანია) დაფუძნდა 2012 წლის 27 იანვარს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, კახეთის გზატკეცილი, №21.

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია სს „ენერგეტიკის განვითარების ფონდი“. სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ აქციების 100%-ის მფლობელია სახელმწიფო.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ნამახვანის ჰესების კასკადის მშენებლობა, რომლის საპროექტო ტერიტორია განლაგებულია საქართველოში, მდინარე რიონზე. 2019 წლის 25 აპრილს ნამახვანის ჰესების კასკადის აქტივები შეისყიდა შპს ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯიამ (მიმდინარე დასახელებით შპს ენკა რინიუებლზი). კომპანიას არ აქვს სხვა საოპერაციო საქმიანობა. დამატებითი ინფორმაცია მოცემულია 2-ე შენიშვნაში.

2. მომზადების საფუძვლები

ა) ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კლასიფიკაციის, აღიარებისა და დაანგარიშების პრინციპების პოლიტიკის შესაბამისად, რომელიც გაშიფრულია 15-ე განმარტებით შენიშვნაში. სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის ხელმძღვანელობამ გამოიყენა სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების, ფაქტებისა და გარემოებების და სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ არსებული საუკეთესო ცოდნა.

კომპანია თავის ბუღალტრულ ჩანაწერებს აწარმოებს და სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ქართულ ლარში. თანხობრივი მაჩვენებლები სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია დამრგვალებების გარეშე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ის, ასევე, კომპანიის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული სააღრიცხვო შეფასებები. ის მნიშვნელოვანი სფეროები, რომლებიც შეფასდა სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და მათი ეფექტის შესახებ, მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ბ) ფუნქციონირებადი საწარმო

ნამახვანის ჰესების კასკადის აქტივები გაიყიდა 2019 წელს და კომპანიას არ აქვს სხვა საოპერაციო საქმიანობა. ასევე, ხელმძღვანელობას არ აქვს დამტკიცებული სამოქმედო გეგმა ასეთი საქმიანობის გაგრძელების შესახებ. შესაბამისად, კომპანია სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებას არ ამზადებს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი არც ერთი აქტივის რეალიზაცია არ მოხდება მათ საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები თანხით. შესაბამისად, სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში არ დაკორექტირებულა აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება და არ შეცვლილა მათი კლასიფიკაცია. ასევე, არ მომხდარა ცვლილებები ვალდებულებების კლასიფიკაციაში. შესაბამისად, წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ხელმძღვანელობის მიერ მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებთან.

სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. კომპანიის ხელმძღვანელობას სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრის დროს ითვალისწინებს მსგავსი აქტივების გამოყენების გამოცდილებას, აქტივების ტექნიკურ მოძველებასა და ფიზიკურ მდგომარეობას. აღნიშნული გარემოებების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვლის ნორმის კორექტირება.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის ოპერაციებიდან გამომდინარეობს შემდეგი ფინანსური რისკები:

- საკრედიტო რისკი;
- საპროცენტი რისკი;
- უცხოური ვალუტის რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;

სხვა ბიზნესების მსგავსად კომპანიაში არის რისკები რომელიც წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის გამოყენებისას. ამ შენიშვნაში აღწერილია კომპანიის მიზნები, პოლიტიკა და პროცესები რისკების აღმოსაფხვრელად და მათი შეფასების მეთოდები. უფრო დაწვრილებით ინფორმაცია ამ რისკებთან დაკავშირებით მოცემულია სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები მოიცავს ფულს და ფულის ეკვივალენტებს და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2019
ფინანსური აქტივები	
ფული და ფულის ეკვივალენტები	138,610
სავაჭრო მოთხოვნები	21,278,859
	21,417,469

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის რისკების მართვის მიზნების და პოლიტიკის შემუშავებაზე. ინარჩუნებს რა საბოლოო პასუხისმგებლობას ამ საკითხებზე, ხელმძღვანელობამ მოახდინა უფლებამოსილების დელეგირება იმ პროცესების შემუშავებასა და წარმართვაზე, რომელიც კომპანიის ფინანსური ფუნქციის მიზნების და პოლიტიკის ეფექტურ განხორციელებას უზრუნველყოფს.

ხელმძღვანელობის მთავარი მიზანია პოლიტიკის დადგენა, რომელიც შეამცირებს რისკს მაქსიმალურად კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე ზეგავლენის გარეშე. დამატებითი დეტალები პოლიტიკასთან დაკავშირებით მითითებულია ქვემოთ.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი ასევე განპირობებულია ფული და ფულის ეკვივალენტებით.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სს „ნამახვანი“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

	31.12.2019
ფული და ფულის ეკვივალენტები	138,610
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	21,278,859
	21,417,469

მოკლევადიანი მოთხოვნების ვადა არის 2019 წლის 31 დეკემბრიდან 1 წელი. აღნიშნული მოთხოვნებიდან არცერთს არ აქვს მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკი.

საპროცენტო რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია არ დგას საპროცენტო რისკის წინაშე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების მერყეობის რისკი უცხოურ ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო.

სავალუტო რისკის ანალიზი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019
	აშშ დოლარი 1 = 2.8677 ლარი
ფინანსური აქტივები	
ფული და ფულის ეკვივალენტები	240
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18,926,820
	18,927,060
ლია სავალუტო პოზიცია	18,927,060

სავალუტო რისკის მგრძნობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას აშშ დოლარისა ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას ხელმძღვანელობის მიერ.

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის:

	ლარი/დოლარი + 20%	ლარი/დოლარი - 20%
მოგება/(ზარალი)	3,785,412	(3,785,412)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა კომპანიის მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. ყოველივე ამან შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ფუნქციონირების უწყვეტობაზე და მისი საქმიანობის შედეგებზე. ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას.

წმინდა ლიკვიდურობის ანალიზი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2019
ფინანსური აქტივები	
ფული და ფულის ეკვივალენტები	138,610
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	21,278,859
	21,417,469
ფინანსური ვალდებულებები	
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,888
	3,888
პროფიციტი	21,413,581

სს „ნამახვანი“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა-ნაგებობები	მიმდინარე პროექტები	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
2018 წლის 31 დეკემბერი	3,753,948	51,321	11,271,172	44,401	76,578	15,197,420
შემოსვლა	-	-	-	-	-	-
გასვლა	(3,753,948)	(51,321)	(11,271,172)	-	-	(15,076,441)
2019 წლის 31 დეკემბერი	-	-	-	44,401	76,578	120,979
დაგროვილი ცვეთა						
2018 წლის 31 დეკემბერი	-	(27,789)	-	(40,191)	(50,503)	(118,483)
2019 წლის ცვეთა	-	-	-	(1,911)	(9,571)	(11,482)
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა	-	27,789	-	-	-	27,789
2019 წლის 31 დეკემბერი	-	-	-	(42,102)	(60,074)	(102,176)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31.12.2019	-	-	-	2,299	16,504	18,803

6. მარაგები

კომპანიის მარაგები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენს ლითონის კონსტრუქციებს, რომელთა ღირებულება შეადგენს 188,724 ლარს.

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2019
ფინანსური აქტივები	
სავაჭრო მოთხოვნები*	21,278,859
	21,278,859
არაფინანსური აქტივები	
გადახდილი ავანსები	23,238
	23,238
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	21,302,097

* 2019 წლის 25 აპრილს საქართველოს მთავრობას და შპს ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯიას შორის ხელი მოეწერა ნამახვან ჰესების კასკადის მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების ხელშეკრულებას. 2019 წლის 25 აპრილს ასევე ხელი მოეწერა შპს ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯიას მიერ სს ნამახვანის აქტივების შესყიდვის ხელშეკრულებას. აქტივების მიწოდების შემდეგ, სს ენერგეტიკის განვითარების ფონდი თავის შვილობილ კომპანია სს ნამახვანთან ერთად ვალდებულია დაეხმაროს ინვესტორს განახლებული მშენებლობის ნებართვის მიღებაში. რეალიზებული ძირითადი საშუალებების ღირებულება შეადგენს 21,185,760 ლარს (7,600,000 აშშ დოლარი), ხოლო რეალიზებული ძირითადი საშუალებების თვითღირებულება შეადგენს 14,230,238 ლარს. ხელშეკრულების მიხედვით ნასყიდობის ღირებულების სრულად ჩარიცხვა ხდება შპს ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯიას მიერ განახლებული მშენებლობის ნებართვის მიღებიდან 5 დღის ვადაში. აღნიშნული ნებართვის მიღება თავდაპირველი გეგმის მიხედვით უნდა განხორციელებულიყო 2019 წელს. ნებართვები მიღებულ უნდა იქნას ქვემო ნამახვანის ჰესზე (333 მგვ) და ზემო ნამახვანის ჰესზე (100 მგვ). როგორც ეს აღნიშნულია 14-ე შენიშვნაში, ქვემო ნამახვანის ჰესზე (333 მგვ) ნებართვები უკვე მიღებულია შპს ენკა რინიუებლზის მიერ. ზემო ნამახვანის ჰესის ნებართვების მიღებისთვის დარჩენილია მხოლოდ სკრინინგის ფაზა. შესაბამისად, ხელმძღვანელობა მოელის რომ საბოლოო ნებართვების მიღება მოხდება 2020 წლის ბოლომდე.

სს „ნამახვანი“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

8. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2019
ფული საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	138,370
ფული საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	240
	138,610

დამატებითი ინფორმაცია უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი სახსრების შესახებ იხილეთ მე-4 შენიშვნაში.

9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019
ძირითადი საშუალების ჩამოწერა	(287,739)
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა	(71,520)
საიჯარო ქირა	(35,400)
ცვეთა	(11,482)
საწვავი	(5,238)
კომუნალური ხარჯი	(2,259)
დაზღვევა	(1,971)
კომუნიკაციის ხარჯები	(1,714)
სხვა	(19,472)
	(436,795)

10. სხვა შემოსავალი, წმინდა

სხვა შემოსავალი, წმინდა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019
მოგება ძირითადი საშუალების გაყიდვიდან*	6,955,522
სხვა	30,598
	6,986,120

*დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ მე-7 შენიშვნა.

11. მოგება საკურსო სხვაობიდან, წმინდა

მოგება საკურსო სხვაობიდან, წმინდა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019
ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	16
ეფექტი სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებზე	528,060
	528,076

12. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ თანახმად, დაკავშირებულ მხარეებს შეიძლება წარმოადგენდეს:

- მხარე პირდაპირ ან ერთი ან რამდენიმე შუალედური რგოლის საშუალებით არაპირდაპირ აკონტროლებს კომპანიას, კონტროლდება კომპანიის მიერ ან იმყოფება ერთობლივი კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ კომპანიებს) კომპანიაში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია რომ შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოპოვება მასზე.
- მხარე არის კომპანიის ან მისი მფლობელის უმაღლესი მმართველი პირი;
- მხარე არის (ა) ან (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;
- მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (გ) პუნქტში გათვალისწინებულ რომელიმე პირს ან, რომელშიც მნიშვნელოვანი გავლენის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პირები.

12. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019
ხელმძღვანელობის შრომითი ანაზღაურება	108,418
შრომითი ანაზღაურება	108,418

13. პირობითი ვალდებულებები

გადასახადები – საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები სამი წლის განმავლობაში.

14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

* 2019 წლის 25 აპრილს საქართველოს მთავრობას და შპს ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯიას შორის ხელი მოეწერა ნამახვან ჰესების კასკადის მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების ხელშეკრულებას. 2019 წლის 25 აპრილს ასევე ხელი მოეწერა შპს ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯიას მიერ სს ნამახვანის აქტივების შესყიდვის ხელშეკრულებას. აქტივების მიწოდების შემდეგ, სს ენერგეტიკის განვითარების ფონდი თავის შვილობილ კომპანია სს ნამახვანთან ერთად ვალდებულია დაეხმაროს ინვესტორს განახლებული მშენებლობის ნებართვის მიღებაში. რეალიზებული ძირითადი საშუალებების ღირებულება შეადგენს 21,185,760 ლარს (7,600,000 აშშ დოლარი), ხოლო რეალიზებული ძირითადი საშუალებების თვითღირებულება შეადგენს 14,230,238 ლარს. ხელშეკრულების მიხედვით ნასყიდობის ღირებულების სრულად ჩარიცხვა ხდება შპს ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯიას მიერ განახლებული მშენებლობის ნებართვის მიღებიდან 5 დღის ვადაში. აღნიშნული ნებართვის მიღება თავდაპირველი გეგმის მიხედვით უნდა განხორციელებულიყო 2019 წელს. ნებართვები მიღებულ უნდა იქნას ქვემო ნამახვანის ჰესზე (333 მგვ) და ზემო ნამახვანის ჰესზე (100 მგვ). ქვემო ნამახვანის ჰესზე (333 მგვ) ნებართვები უკვე მიღებულია შპს ენკა რინიუებლზის მიერ 2020 წლის 22 აპრილს (ჰესის მშენებლობის ნებართვა) და 2020 წლის 18 თებერვალს (გზის მშენებლობის ნებართვა).

15. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ოპერაციები და ნაშთები

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირვალდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოურ ვალუტაში განსაზღვრული რეალური ღირებულებით გადაანგარიშდება რეალური ღირებულების დადგენის დღისათვის არსებული სავალუტო კურსით.

15. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კურსთაშორის სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი) სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც „წმინდა (ზარალი)/მოგება საკურსო სხვაობიდან“. უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	დოლარი	ევრო
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095

ფინანსური ინსტრუმენტები ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები წარმოიქმნება აქტივების და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები), რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით. ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული კომპანიის ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფულის და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ბანკში არსებულ თანხებს ან სამ თვემდე არსებულ დეპოზიტებს.

კომპანიამ არაარსებითად შეაფასა საკრედიტო დანაკარგების რისკი ფინანსურ აქტივებზე მათი სწრაფი ლიკვიდურობიდან გამომდინარე. შესაბამისად, კომპანია არ ახორციელებს ზემოთხსენებული აქტივების გაუფასურების აღიარებას.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ფინანსური ვალდებულებებისა და აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

კომპანია წვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც კონტრაქტიდან წარმომდგარი ფულადი ნაკადების მიღების უფლება იწურება, ან ეს უფლება კონტრაქტის საფუძველზე გადაეცემა სხვა მხარეს მფლობელობის უფლებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელთან ერთად. ნებისმიერი წილი გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც უნარჩუნდება კომპანიას, მის მიერ აღიარდება, როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

15. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება.

აქტივის ცვეთის თანხა ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, წრფივი ცვეთის მეთოდით, შემდეგნაირად:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
სატრანსპორტო საშუალებები	8
ავეჯი და სხვა ინვენტარი	4-5

მიმდინარე საგადასახადო აქტივი და მოგების გადასახადის ხარჯი

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება კომპანიის სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები, მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას. ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას.

მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და

15. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

(ა) წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და

(ბ) შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

სააქციო კაპიტალი

სააქციო კაპიტალში განხორციელებული შენატანები აღირიცხება თვითღირებულებით. ახალი აქციების გამოშვებასთან დაკავშირებული პირდაპირი დანახარჯები, გარდა საწარმოთა გაერთიანების შემთხვევისა, აღიარდება წმინდა ღირებულებით, შესაბამისი მოგების გადასახადის გამოკლებით. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი გადახდები წარმოადგენს დამატებით შენატანს კაპიტალში.

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირდება მომავალში მისაღები ან გადასახადელი სავარაუდო ფულადი სახსრები ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოღინებას (ყველა მიღებული, ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილს, გარიგებების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) დისკონტირების ფინანსური ვალდებულებების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სასაარგებლო მომსახურების ვადის ამოწურვამდე, ან (თუ მისაღებია) უფრო მოკლე ვადაში.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

მომსახურების გაწევისას წარმოქმნილი ხარჯები აღიარდება მიღებული შემოსავლის პროპორციულად. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

თანამშრომელთა სარგებელი

დასაქმებულთა ანაზღაურების მოკლევადიანი ვალდებულება იზომება არადისკონტირებული თანხით და აღიარდება ხარჯად მომსახურების გაწევისთანავე. ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ან მოგების განაწილების გეგმით იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას მოცემულ მომენტში აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, გადაიხადოს მომსახურე პერსონალის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების საფასური და ეს ვალდებულება შეიძლება საიმედოდ იქნას შეფასებული.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.